პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 21 მაისი, 1988 წელი ● № 21 (3049) ● СУББОТА, 21 МАЯ 1988 г.

## დემოკრატია და კანონი

### მკითხველებს აწუხებს სამართლებრივი სისტემის გარდაქმნის მიმდინარეობა.

რედაქციაში მოსულ წერილებში იშვიათად, მაგრამ მაინც გაისმის პირდაპირი კითხვა: „რატომ ინერგება ასე ძნელად დემოკრატიული საწყისები სამართლებრივ სისტემაში?“.

პირდაპირ ვთქვათ: ეს შეკითხვა უსაფუძვლო არ არის. სოციალისტური კანონიერების დარღვევები უფრო ნელა იძირკვება, ვიდრე ხალხს სურს, ვაწყდებით ფაქტებს, რომ კანონიერება იურისტისათვის, მოსამართლე ან, პროკურორი იქნება იგი თუ გამომძიებელი, განისაზღვრება იმით, თუ რა თქვა ადგილობრივმა პარტიულმა ან საბჭოთა ხელმძღვანელმა.

რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა იურიდიულ სფეროში დღეს და გუშინ როდის შექმნილა. პარტიამ უკვე თქვა გულახდილად და საჯაროდ, რომ საჭიროა სამართლებრივი სისტემის უსწრაფესი გადახვლა დემოკრატიზაციის, ჰუმანიზაციისა და საჯაროობის რელსებზე. 1985 წლის აპრილის შემდეგ ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. დემოკრატიულობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული კანონები სახელმწიფო საწარმოს, სახელმწიფო ცხოვრების, მნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაოსახალხო განხილვის, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ და სხვა კანონები. მუშავდება პრინციპულად ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საჯაროობის, პრესის შესახებ კანონების პროექტი, მზადდება კანონი კოოპერაციის შესახებ. ამავე დროს უქმდება, იხინჯება მრავალი საუწყებო აქტი და ინსტრუქცია, რომლებიც წინათ ბორკილივით ბოჭავდა მეურნეობისა და შრომითი კოლექტივების შემოქმედებით ინიციატივას, დამოუკიდებლობას, მათ მისწრაფებას მიეღწიათ ეკონომიკის დაჩქარებული აღმავლობისათვის, სოციალური სფეროს განვითარებისათვის. ერთი სიტყვით, თანმიმდევრულად მუშავდება და ხორციელდება სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია.

დასაბამი მიეცა დიდ მუშაობას, რომელიც უნდა გავწიოთ სამართლებრივი სისტემის გარდაქმნის დროს. მარტო ის ხომ არ არის მთავარი, რომ კანონი კარგი იყოს, არამედ საჭიროა, რომ მას ზუსტად ასრულებდნენ.

ამასთან დაკავშირებით მწვავედ დგება იურისტთა ნამდვილი, და არა დეკლარაციული დამოუკიდებლობის საკითხი. რა თქმა უნდა, აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული მათ პირად პრინციპულობაზე, მრწამსზე, კომპეტენტურობაზე. მაგრამ საჭიროა საკანონმდებლო გარანტიებიც, რომ თავისი „დაუყოლიებლობის“ გამო, მაგალითად, მოსამართლეს კენჭი არ უყარონ მომდევნო ვადისათვის, ხოლო გამომძიებელმა, რომელმაც უარი თქვა აღეძრა სისხლის სამართლის საქმე ზემოდან ბრძანებით, არ დაკარგოს სამუშაო. დიდი ხანია იხილავენ საკითხებსაც ბრალდებულად პიროვნების ცნობის მომენტიდან, ან მისი დაპატიმრების მომენტიდან სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის დაშვების, განსაკუთრებით რთული ან სოციალურად მნიშვნელოვანი კატეგორიების საქმეთა განხილვისათვის სასამართლო კოლეგიის შემადგენლობის გაფართოების შესახებ.

ყველა ეს პრობლემა პრინციპულია. მათ სწორ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, სამართლებრივ სისტემაში დემოკრატიული საწყისების განვითარება. ამიტომ აქ არ კმარა, როგორც წინათ ყოფილა, „კოსმეტიკური“, სანახევრო ღონისძიებები. მაგრამ დაუშვებელია პრობლემების გადაჭრის გაჭიანურებაც. ამავე დროს, თუ ვილაპარაკებთ არა სიტყვების, არამედ პრაქტიკული მოქმედების თვალსაზრისით, სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელობა მაინცდამაინც არ ჩქარობს გარდაქმნას.

რა თქმა უნდა, გარდაქმნა სამართლებრივ სისტემაში იოლი საქმე არ არის. აქ დაუშვებელია უკიდურესობაში გადავარდნა. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ პასიურად ველოდოთ კანონიერების დაცვის იდეალურ პირობებს. ისინი უნდა შევქმნათ. ყოველდღიურად ვეძებოთ ახალი მიდგომები, შემოქმედებითი გადაწყვეტანი, გავავრცელოთ საუკეთესოთა გამოცდილება. იქ, სადაც სწორედ ასე მოქმედებენ, ვითარება იურიდიულ სფეროში გაცილებით უფრო სასიკეთოა, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში.

სამართლებრივი სისტემის დემოკრატიზაცია წარმოუდგენელია მოსახლეობის მართლშეგნების განუმტკიცებლად. კანონი რომ შეასრულო, უნდა იცოდე. სამართლებრივი საყოველთაო სწავლების ორგანიზაცია უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც დაკავშირებულია მშრომელთა მართლშეგნების, სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის ზრდასთან. თითოეულს უნდა ესმოდეს: კანონიერება, შეგნებული დისციპლინა ნამდვილი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. დემოკრატია, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე, არ არსებობს კანონის გარეშე და კანონზე მაღლა.

ამავე დროს, გარდაქმნის დროს, დემოკრატიულ ცვლილებებს ზოგიერთი განმარტავს, როგორც განუკითხაობას, ამბიციური, ეგოისტური მიზნებისთვის იყენებს მათ. გავიხსენოთ მთიან ყარაბაღში და მის გარშემო მომხდარი ამასწინანდელი ამბები. განა მიტოვებული ჩარხები და დაცარიელებული სტუდენტური აუდიტორიები დემოკრატიის ნიშანია? ან ბანდიტური გამოვლინებანი სუმგაითში სარგებლობას აძლევს გარდაქმნას? არა, და კიდევ ერთხელ, არა! ისევე, როგორც შემთხვევები, რომლებიც მრავლად არის, როცა საზოგადოებრიობის წინასწარ ჩამოყალიბებული აზრით შენიღბულები ადგილებზე მას იმისათვის. იყენებენ, რომ გაუსწორდნენ არასასურველ ადამიანებს, დაამკვიდრონ ზემდგომი თვალსაზრისი.

პარტიული, საბჭოთა და სამართლებრივი ორგანოების ვალია მტკიცედ იდგნენ დემოკრატიული პრინციპების სადარაჯოზე, აქტიურად იბრძოდნენ სამართლისა და მორალის ნორმებისგან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ. მაშინ ადამიანებსაც, რომლებიც ამას დაინახავენ არ შეაწუხებთ კითხვა: „რატომ ინერგება ძნელად დემოკრატიული საწყისები სამართლებრივ სისტემაში?“ რადგან პასუხი მასზე თვალწინ ექნებათ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სკკპ XXVII ყრილობის ერთ-ერთი დასკვნა: დემოკრატია იყო და კვლავ არის სოციალისტური კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, მტკიცე კანონიერება დემოკრატიის, გარდაქმნის, საჯაროობის განვითარების გარანტიაა.

გაზეთი „პრავდა“.

12 მაისის მოწინავე. (იბეჭდება შემოკლებით)

## С дружественным визитом



На днях нашу республику с дружественным визитом посетила делегация Австрийской республики, которую возглавлял министр внутренних дел Карл Блеха. В составе делегации, которую сопровождали заместитель министра внутренних дел СССР генерал-лейтенант внутренней службы Н. Демидов и заместитель начальника ОВС МВД СССР полковник внутренней службы А. Ерохин, были также Чрезвычайный и Полномочный посол Австрийской республики в СССР Херберт Грубмайер с супругой, генеральный секретарь по вопросам общественной безопасности Данцингер и заведующий отделом по борьбе с наркоманией Фукс.

14 мая состоялась встреча членов делегации Австрийской республики с Председателем Совета Министров Грузинской ССР О. Черкезия. Наши гости были ознакомлены с работой, ведущейся как в Грузии, так и по всей стране по осуществлению кардинальной экономической реформы, а также перестройке всех сторон общественной жизни. В беседе с советской стороны приняли участие заместитель министра внутренних дел СССР генерал-лейтенант внутренней службы Н. Демидов, заведующий отделом иностранных сношений при ЦК КП Грузии Р. Гоглидзе, управляющий делами Совета Министров ГССР С. Ригвава, министр внутренних дел Грузинской ССР генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе и другие официальные лица.

В ходе визита члены делегации Австрийской республики встретились с руководством МВД ГССР, ознакомились с работой Мцхетского РОВД, опытом борьбы с наркоманией в республике. Между министрами внутренних дел Австрийской республики и Грузинской ССР состоялся деловой обмен мнениями о состоянии и общих проблемах борьбы с преступностью, профилактике правонарушений.

По окончании дружественного визита руководители австрийской делегации поблагодарили хозяев за гостеприимство и подробное ознакомление с историческими достопримечательностями и сегодняшней жизнью Советской Грузии.

• • •

**НА СНИМКАХ:** министр внутренних дел Австрийской республики Карл Блеха (справа) и генеральный секретарь по вопросам общественной безопасности Данцингер; члены делегации и сопровождающие их лица во время осмотра горнолыжного комплекса в Гудаури, построенного австрийскими специалистами.



## ოფიციალური ინფორმაცია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. თენგიზ ვასილის ძე ეპიტაშვილი დანიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. გივი შალვას ძე კვანტალიანი გაანთავისუფლა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

10 მაისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პირად შემადგენლობას შორის დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად, მინდობილი საქმისათვის თანამშრომელთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად განყოფილების ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის საკითხი. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მწვავე და პრინციპული შეფასება მისცა ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობას კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანების გადაწყვეტაში კომუნისტთა ავანგარდული როლის უზრუნველყოფისათვის. აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების საქმიანობის გარდაქმნა დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს.

მინდობილი განყოფილების ხელმძღვანელობაში დაშვებული სერიოზული ხარვეზებისათვის, ხელქვეითთა საქმიანობისადმი კონტროლის შესუსტებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები, ფოთის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, სკკპ წევრი გ. შერგელაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. ცნობად არის მიღებული, რომ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მას სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების განსამტკიცებლად მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და იმისთვის, რომ ვერ უზრუნველყო შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების საქმიანობისადმი ქმედითი საპროკურორო ზედამხედველობა, სასტიკი საყვედური გამოუცხადა ქალაქ ფოთის პროკურორს, სკკპ წევრს დ. კიკაბიძეს. იგი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

პარტიული სასჯელი დაედოთ ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მთელ რიგ სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილებასთან ერთად დაევალა განახორციელოს კონკრეტული და გადაუდებელი ღონისძიებანი შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების გაჯანსაღებისათვის, დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

# НА РУБЕЖЕ НОВЫХ ЗАДАЧ

**Современный этап развития нашей страны во многом является периодом крутой ломки отживших стереотипов, обновления во всех сферах жизни нашего общества, точкой отсчета которых стал апрельский (1985 г.) Пленум ЦК КПСС. С каждым днем набирает силу процесс перестройки, охватывающий все более широкие слои трудящихся, ведущих активную и целенаправленную работу по выполнению исторических решений XXVII съезда партии, последующих пленумов ЦК КПСС. Именно творческая активность и созидательная энергия трудящихся масс должны стать надежной гарантией необратимости происходящих сейчас поистине революционных перемен.**

**Особая роль в свете осуществляемого партией стратегического курса на ускорение социально-экономического развития, дальнейшую демократизацию всех сторон жизни общества отводится органам внутренних дел, в которых идет сейчас непростой процесс поиска новых форм и методов работы. Новым свидетельством заботы партии об усилении партийно-политического влияния на деятельность ОВД в целях укрепления социалистической законности и правопорядка в стране, усилении охраны прав и законных интересов граждан явилось утвержденное недавно ЦК КПСС Постановление «О создании единой структуры политических органов в системе МВД СССР» от 31 марта 1988 г. О целях этого мероприятия большой политической значимости и задачах сотрудников политаппаратов, всех коммунистов системы ОВД республики на современном этапе рассказывает сегодня в беседе с нашим корреспондентом начальник Политического отдела МВД ГССР полковник милиции А. З. Анкваб.**

**Александр Золотинскович, какими явлениями общественно-политической жизни нашей страны, переменами в деятельности органов внутренних дел вызвана необходимость принятия нового Положения о политорганах МВД СССР и какова его социально-политическая направленность?**

Наверное нет необходимости повторять, что преодолеть скопившиеся негативные явления непросто. В органах внутренних дел республики все еще велика инерция мышления, привычка некоторых жить и работать, что называется, «по-старинке». Процесс перестройки стиля и методов работы идет пока еще недостаточно высокими темпами, порой весьма противоречиво. Это обусловлено во многом тем, что в системе МВД, длительное время находившейся как бы вне критики, накопились многочисленные негативные и застойные явления, что способствовало созданию у населения отрицательного стереотипа сотрудника милиции. Вскрывающиеся факты злоупотреблений служебным положением, коррупции, взяточничества, многих нарушений социалистической законности стражами правопорядка выдвинули на первый план необходимость коренного пересмотра направленности и качества партийно-политической работы в системе ОВД, ее взаимосвязи с решением конкретных задач.

Именно необходимостью оздоровления морального климата в органах и подразделениях системы МВД и было обусловлено создание в 1983 году политических аппаратов в системе органов внутренних дел. Логическим продолжением этой работы партии по повышению партийного и политического руководства ОВД явилось и утверждение нового Положения о политических органах в системе МВД СССР, которое ставит целью улучшение идейно-нравственного воспитания личного состава, более эффективное партийно-политическое обеспечение решаемых ОВД оперативно-служебных задач.

Для их успешной реализации необходимо, наряду с постоянным обновлением форм и методов оперативно-служебной деятельности, уделять больше внимания воспитательной работе, помня, что решающим фактором перестройки является человек, сотрудник и его конкретный политический и интеллектуальный облик, профессиональное мастерство, его гражданская позиция и активность. Поэтому в соответствии с новым Положением главным в содержании партийно-политической работы должно стать дальнейшее повышение боевитости партийных организаций, воспитание сотрудников личным примером политработников, коммунистов- руководителей, их персональной активности в перестройке стиля и методов работы, личным вкладом каждого из них в борьбу с преступностью и профилактику правонарушений.

Время настойчиво диктует необходимость учить личный состав работе в условиях расширения демократии и гласности, создавать условия для проявления инициативы в работе, развития критики и самокритики.

Первоочередными задачами являются повышение личной ответственности коммунистов, комсомольцев, каждого сотрудника за высокопрофессиональное выполнение служебных обязанностей; а также всемерное повышение правовой культуры, уровня юридических и экономических знаний. Важнейшим направлением партийно-политической работы на сегодня следует считать и воспитание у сотрудников высокой политической бдительности, всемерное улучшение патриотического и интернационального воспитания.

Актуальностью всех этих задач и определяется социально-политическая направленность нового Положения на обеспечение повышения результатов оперативно-служебной деятельности, укрепление социалистической законности среди личного состава, повышение авторитета сотрудников милиции среди населения, что в конечном итоге должно содействовать успешному выполнению всех намеченных партией социально-экономических программ.

**В чем заключаются принципиальные отличия нового Положения от ранее действовавшего?**

Особенности утвержденного ЦК КПСС Положения о политорганах вытекают из конкретных задач сегодняшнего дня и определены перспективой дальнейшего развития процесса перестройки. Они вызваны необходимостью «собрать в кулак» всю организационную, идейно-воспитательную работу политаппарата, партийных организаций и руководящего состава, сосредоточить ее на утверждении в коллективах ОВД ленинских норм партийной жизни и принципов кадровой политики, идеологическом обеспечении перестройки, усилении постоянного партийного влияния на все стороны деятельности ОВД, подразделений пожарной охраны и исправительно-трудовых учреждений.

Для выполнения возложенных на политорганы системы МВД СССР обязанностей им предоставлено право осуществлять совместно с местными партийными комитетами руководство деятельностью партийных, профсоюзных и комсомольских организаций ОВД, пожарной охраны, ИТУ и других специальных учреждений. Новой для политорганов явилась и обязанность по руководству политико-воспитательной работой с лицами, содержащимися в ИТУ.

Изменено также правовое положение начальников политорганов МВД союзных и автономных республик, которые приравниваются к заместителям министров, а в УВД облгорисполкомов одновременно являются заместителями начальников управлений по политической части.

**Предусмотрены ли новым Положением структурные изменения в системе политорганов МВД СССР?**

С момента вступления в силу нового Положения Политическое управление МВД СССР становится руководящим партийно-политическим органом не только политотделов и политического аппарата, но и всех органов, подразделений, учреждений и высших учебных заведений МВД СССР.

Важным структурным изменением является упразднение политических отделов в исправительно-трудовых учреждениях МВД СССР. Их функции также возлагаются на политическое управление. На местах упраздняются все ранее существовавшие политотделы ИТУ, а также аппараты политико-воспитательной работы с осужденными. Их обязанности возлагаются отныне на политотделы МВД союзных, автономных республик.

Здесь же слeдует отметить, что создание единой структуры политорганов не снимает с каждого руководителя персональной ответственности за политико-моральное состояние коллективов, строжайшее соблюдение сотрудниками дисциплины и социалистической законности, не освобождает администрацию ИТУ от возложенных на нее законом обязанностей по перевоспитанию осужденных.

**Какие первоочередные мероприятия предстоит провести политработникам системы МВД ГССР для реализации установок Постановления ЦК КПСС?**

С целью успешной и планомерной реализации основных положений Постановления в ОВД нашей республики проводится целенаправленная работа, намечен и уже частично осуществлен ряд практических мероприятий. Так, например, проведены зональные семинары-совещания с участием замполитов, секретарей парторганизаций и комсомольских организаций с повесткой дня: «О задачах политаппаратов, коммунистов и комсомольцев, всего личного состава МВД ГССР по выполнению Постановления ЦК КПСС» от 31 марта 1988 г. После данных мероприятий политработники, секретари парторганизаций проведут дополнительную работу по ознакомлению личного состава горрайорганов и подразделений с указанием МВД СССР и Положением о политорганах.

Замполиты, секретари парторганизаций, руководствуясь материалами политотдела, должны будут обеспечить своевременную подготовку пропагандистов для проведения ими занятий по теме: «Создание единых политорганов в системе МВД СССР — новое проявление заботы партии об усилении партийно-политического влияния на деятельность органов внутренних дел в целях укрепления социалистической законности и правопорядка, усиления охраны прав и законных интересов граждан».

В этот же период будут проведены открытые партийно-комсомольские собрания, на повестке дня которых будет вопрос «О задачах коммунистов, комсомольцев и всего личного состава МВД ГССР по реализации требований постановлений ЦК КПСС от 31 марта и 2 апреля 1988 года».

После проведения этих и других намеченных мероприятий будет организовано обобщение критических замечаний, предложений, высказанных на собраниях, а также при обсуждении задач, вытекающих из решений февральского (1988 г.) Пленума ЦК КПСС, и обеспечена их практическая реализация.

**На каких направлениях необходимо сконцентрировать внимание политработникам системы МВД ГССР с учетом требований нового Положения и конкретной оперативной обстановки в республике?**

Как уже отмечалось, основные усилия политаппаратов, коммунистов, всех сотрудников органов внутренних дел республики следует сконцентрировать на повышении боевитости партийных организаций, создании в них атмосферы нетерпимости к имеющимся недостаткам, а также на оздоровлении морально-психологического климата в коллективах и улучшении воспитательной работы в исправительно-трудовых учреждениях. Успешное решение этих задач создаст предпосылки для совершенствования работы на конкретных направлениях оперативно-служебной деятельности.

Необходимо постоянно укреплять партийно-комсомольское ядро ОВД, активнее использовать новые формы и методы работы, в частности, в области кадровой политики, шире практиковать отчеты руководителей и сотрудников органов внутренних дел перед представителями трудовых коллективов. В целях повышения роли гласности в работе ОВД предстоит наладить откровенный диалог с трудящимися, со средствами массовой информации, своевременно реагировать на конструктивную критику, принимать меры по устранению выявленных недостатков.

Сегодня политические аппараты органов внутренних дел стоят перед задачей выхода на новые, более высокие рубежи, и, надо полагать, все политработники, коммунисты, все сотрудники МВД ГССР, четко осознавая ответственность возложенных на них задач, сделают все от них зависящее для укрепления авторитета советской милиции, успешной реализации всех намеченных партией программ, достойной встречи XIX Всесоюзной партийной конференции.

**Беседу вел**
**А. Цатуров.**

---

პოზიცია

# ეს წვრილმანი როდია!

მოვალეობისადმი პატივისცემა, მტკიცე დისციპლინა და წესრიგი პირად ცხოვრებაში უადვილებს მილიციის მუშაკს ოპერატიული საქმიანობის მძიმე ტვირთს. მანკიერებით და გაიძვერობით შეიარაღებული ბოროტმოქმედის წინააღმდეგ მილიციის მუშაობას განსაზღვრავს მილიციის მუშაკთათვის შემუშავებული სპეციალური წესები და ინსტრუქციები, რომელთა ცოდნა და გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში სავალდებულოა მილიციის ყველა მუშაკისათვის.

მინდა ზოგიერთ, ერთი შეხედვით, „წვრილმან" საკითხებზე გავესაუბრო მილიციის ახალგაზრდა მუშაკებს.

სავალალოა, მაგრამ ფაქტია, ჩვენს ქალაქში იშვიათად თუ შეგხვდება მილიციის ფორმით თანამშრომელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავტოინსპექტორს. თქვენ წარმოიდგინეთ ხანდახან უბნის ინსპექტორებიც კი უფორმოდ დადიან. ფორმის ტარება კი სავალდებულოა ყველასთვის, ვინც დადგენილ ფორმას დაწესებული წესით ღებულობს, (რა თქმა უნდა, ეს არ ვრცელდება მათზე, ვინც საგანგებო ოპერატიულ დავალებას ასრულებს).

რატომ უნდა იყოს და არის სავალდებულო ფორმის ტარება?

ჯერ ერთი — ფორმის ჩაცმას წესრიგში მოჰყავს თვით მუშაკი, ფორმის ტარება ზრდის მუშაკის პასუხისმგებლობის გრძნობას, მომთხოვნელობას. ფორმა აჩენს მუშაკს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს.

მეორე — ფორმიანი მილიციის მუშაკის გავლა ქუჩებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, თავისთავად ხელს უწყობს წესრიგიანობას. წესრიგის დამრღვევი ხულიგანი, ყველა სახის დამნაშავე ელემენტი ერიდება მილიციის ფორმიანს, მოკრძალება და რიდი აქვს ფორმის მიმართ.

რატომ გაურბიან ფორმის ტარებას? მხოლოდ იმისთვის, რომ საზოგადოებრივ ადგილებში წესრიგის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მოიხსნან, ასეთი მოქმედება კი შეუფერებელია, ბღალავს მილიციის მუშაკის ღირსებას.

ფორმის ტარებას დიდი სიკეთე მოაქვს საერთო წესრიგიანობის, კერძოდ მილიციის პირადი შემადგენლობის ურთიერთდამოკიდებულების საქმეშიც. როგორც წესი, მილიციის მუშაკები, რომლებიც სამხრეებს ატარებენ წოდების მიხედვით, ჩავლისას, უმცროსი წოდებით ხელის აღებით პირველი ესალმება მაღალი წოდების მქონეს. სამწუხაროდ, მორალური და დისციპლინის მოთხოვნის ეს ანბანური წესი ხშირად არ სრულდება. მაღალი წოდების მქონე, წესის დამრღვევს არც კი თხოვს მისალმებას.

ფორმით მოსიარულე მუშაკმა პატივი უნდა სცეს შემხვედრ ფორმიან მუშაკს და მიესალმოს მას წესისამებრ. ამით იგი თავის თავსაც სცემს პატივს.

ვფიქრობ ამ საკითხისადმი ადგილობრივ ხელმძღვანელთა ყურადღების გამახვილება საჭიროა და აუცილებელიც. ეს წვრილმანი არ არის, მისი წესისამებრ შესრულება კი ხელს შეუწყობდა დისციპლინის გაუმჯობესებას.

**ნ. მანჯგალაძე,**
გადამდგარი პოლკოვნიკი, ომისა და შრომის ვეტერანი.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ!

# ბიჭები სამშობლოს უბრუნდებიან



15 მაისს, საბჭოთა კავშირის მთავრობის განცხადების შესაბამისად — ავღანეთის საკითხის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ — დაიწყო საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან.

პირველი სამი თვის განმავლობაში სამშობლოში დაბრუნდება პირადი შემადგენლობის ნახევარი, ხოლო 1989 წლის 15 თებერვლისათვის ჯარების გამოყვანა დასრულდება.

სულ მალე შეხვდება სამშობლო თავის შვილებს, რომლებმაც მეზობელ ხალხს დიდი გაჭირვების ჟამს ინტერნაციონალური დახმარების ხელი გაუწოდეს.

გთავაზობთ წერილს ერთ-ერთ მათგანზე, ვინც ღირსეულად მოიხადა ეს ვალი და ამჟამად ჩვენს გვერდით მსახურობს.

თითქოს არაფერს თვლის თავის ბიოგრაფიაში უჩვეულოდ ფრიდონ კაპანაძე, საქართველოს სსრ შს სამინისტროს სასწავლო ცენტრის ზემდეგი: დაიბადა ახალციხის რაიონის სოფელ ტყემლანაში, იქვე დაამთავრა რვაწლიანი სკოლა და გააგრძელა სწავლა ახალციხის № 101 პროფტექნიკურ სასწავლებელში. 1980 წელს სამხედრო კომისარიატის მიმართვით სწავლას აგრძელებს ახალციხის დოსაафის ტექნიკურ სკოლაში და ეუფლება ავტომანქანის მართვას.

1981 წელს კი ცხოვრება მას დიდი გამოცდის წინაშე აყენებს. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შემდეგ, ინტერნაციონალური ვალის მოსახდელად აგზავნიან ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

თავის საბრძოლო ბიოგრაფიაზე ძვირად ლაპარაკობს, მაგრამ მის დამსახურებაზე მეტყველებენ სახელმწიფო ჯილდოები: 2 მედალი მამაცობისათვის და „შეიარაღებული ძალების 70 წლისთავი“, სამკერდე ნიშანი „განაღმვისათვის“, მიღებული აქვს ხელმძღვანელობის მრავალი მადლობა, მისი სახელი ჩაწერილია იმ ბრიგადის საპატიო წიგნში, რომელშიც იგი მსახურობდა.

ახალგაზრდა, ენერგიული მეომარი 1982 წელს მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად, ხოლო 6 თვის შემდეგ წევრად....

დემობილიზაციის შემდეგ, ფ. კაპანაძეს გულმა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ გამოუწია.

კეთილსინდისიერი დამოკიდებულება სამსახურებრივი მოვალეობისადმი, თავმდაბლობა, პატიოსნება — მისი ხასიათის ეს თავისებურებანი კარგად გამოვლინდა შს ორგანოებში მუშაობისას. დღეს, მილიციის ფრიადოსანი, მილიციის სერჟანტი ფ. კაპანაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტია.

თავის საქმიანობით იგი ხელს უწყობს შინაგან საქმეთა ორგანოების ახალგაზრდა მუშაკების პროფესიონალური დაოსტატების საქმეს. ხელმძღვანელობის დავალებებს პირნათლად და დროულად ასრულებს.

ამბობენ, მენალმე ერთხელ სცდება. ჯერ ფრიდონს შეცდომა არ მოსვლია და იმედი გვაქვს ასეც იქნება მთელი ცხოვრების მანძილზე.

**ზ. მეხიშვილი,**
**საქართველოს სსრ შსს სასწავლო ცენტრის უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი.**

# მხოლოდ ერთობლივი ზრუნვით

გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ და რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციამ, უკვე რამდენიმე თვეა შემოიღეს მეტად სასარგებლო რუბრიკა: „მძღოლი, ავტოინსპექცია, საზოგადოება“. გაზეთის ფურცლებზე ამ რუბრიკით პერიოდულად ქვეყნდება რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ოპერატიული ღონისძიებანი.

ასეთ ღონისძიებათა გაშუქებას უთუოდ დადებითი შედეგი უნდა მოჰყვეს — გვითხრა რესპუბლიკის სახავტოინსპექციის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა რ. იანტბელიძემ, — საზოგადოებრიობის მხარდაჭერას ბოლო დროს ნათლად ვგრძნობთ. მათთან კავშირი კი ავტომანქანების მოწესრიგებული მოძრაობისათვის, უღირსი მძღოლების საჭიდან ჩამოცილებისათვის აუცილებელია.

ჩვენი ცენტრალური აპარატის თანამშრომლები სისტემატიურად გადიან რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში. ატარებენ რეიდებს, რაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რადიოს ტელევიზიისა და პრესის მუშაკები. ამჟამად ხუთი ასეთი ღონისძიებაა ჩატარებული. ამ ღონისძიებებიდან შემოსულ მასალებს განვიხილავთ რიგგარეშე თათბირზე, უშუალოდ რესპუბლიკის სახავტოინსპექციის უფროსის ხელმძღვანელობით, მის შედეგებს ვაცნობებთ სკპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამის განყოფილებასაც, შემდეგ კი მზადდება სპეციალური გვერდი გაზეთისათვის. ამგვარ საагიტაციო მუშაობაში რადიოსა და ტელევიზიის ხელმძღვანელობა აქტიურად გვიჭერს მხარს.

იმედი გვაქვს ჩვენი საქმიანობა კიდევ უფრო დაიხვეწება. ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ საგზაო უსაფრთხოებისათვის, თითოეული ადამიანის სიცოცხლისათვის, ამ მიზანს მხოლოდ ერთობლივი ზრუნვით მივაღწევთ.

**ზ. გომართელი.**

# ПРЕСТУПЛЕНИЕ РАСКРЫТО, ПРОБЛЕМЫ ОСТАЮТСЯ

...Мартовским утром в дежурной части первого отделения милиции Сухумского ГОВД раздался телефонный звонок. Взволнованный мужской голос сообщил, что на территории одного из городских районов, у самого берега моря лежит труп женщины. Считанные минуты отделили звонок незнакомца от выезда на место происшествия оперативно-следственной группы во главе с начальником отделения майором милиции Р. Адлейба.

У самой кромки прибоя оперативники обнаружили изуродованный труп неряшливо одетой женщины.

Время работало против сотрудников милиции. У убитой при себе не оказалось никаких документов. Вокруг — никаких вещественных доказательств. С момента совершения преступления прошло уже не менее десяти часов и каждая потраченная даром минута отдаляла преступника от справедливого возмездия. Но оперативные работники не медлили.

Первая удача ждала их в приемнике - распределителе Сухумского ГОВД — одна из задержанных опознала потерпевшую и назвала ее имя. Вскоре был определен и постепенно начал сужаться, по мере выявления новых фактов, вскрывавшихся в ходе розыскной работы, круг лиц, с которыми в последнее время общалась убитая...

Наконец, позади кропотливое изучение старых дел, многочисленных картотек и фотоснимков, томов служебной переписки. Преступник по кличке «Фикса» установлен и задержан. Он понесет заслуженное наказание. Казалось, на этом можно поставить точку, сказав предварительно слова благодарности в адрес сотрудников милиции — они их полностью заслужили.

Беспокоит другое — один человек, без определенного рода занятий, убивает другого такого же, вокруг этого убийства в городе поднимается ажиотаж, создается нервозная обстановка. Но невольно возникает вопрос: можно ли было предотвратить все это? Думается, да. Для этого необходимо четкое взаимодействие отдела внутренних дел с другими правоохранительными органами, организациями и учреждениями города. Пока этого добиться мы не смогли.

Порой, когда в городе происходит серьезное преступление, подобное вышеописанному, возникает масса претензий в адрес сотрудников милиции, сыпятся вопросы: где был участковый, что делала милиция? Мне кажется, это неправильно. Многие не понимают, что силами одной милиции преступность не ликвидировать. Это практически невозможно, пока не уменьшится у нас число людей, живущих по принципу «моя хата с краю».

Сотрудники милиции сработали четко. Но какова же роль общественности, комиссии по трудоустройству, уличных и домовых комитетов, общества «За трезвость», актива пункта охраны правопорядка? Результатов деятельности этих организаций не видно именно потому, что слишком часто они создаются лишь для отчетов, функционируют только для «галочки»...

Все это — цепь проблем, затягивание решения которых приводит к росту преступности, снижению эффективности деятельности правоохранительных органов. Необходимо помнить, что у всех нас одна общая задача — совместная, бескомпромиссная борьба со всеми проявлениями, чуждыми нашему строю, нашему обществу.

**В. ДЖИНДЖОЛИЯ,**
**подполковник милиции, начальник политической части Сухумского ГОВД.**

## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ 16 мая в Заводской РОВД г. Тбилиси обратился Г. М., с заявлением о том, что в этот же день в ночное время неустановленный преступник с принадлежащей ему автомашины «ВАЗ-21011» совершил кражу лобового стекла. Принятыми мерами по «горячим следам» сотрудниками РОВД установлен и задержан Р. С., краденное изъято.

◆ 16 мая сотрудниками Сабурталинского РОВД г. Тбилиси совместно с сотрудниками Первомайского РОВД столицы республики уличена Н. К., домохозяйка, которая 24 пачки сигарет и 68 банок пива импортного производства общей стоимостью 180 рублей продала за 680 рублей. Из ее же квартиры изъяты: 79 банок пива, 44 банки лимонной эссенции и 7 пачек сигарет импортного производства, предназначенных для перепродажи.

◆ 17 мая сотрудниками Ленинского РОВД г. Кутаиси задержан Т. М., у которого изъяты: револьвер системы «Наган» с пятью боепатронами и 58,55 гр. порошка конопли.

◆ 17 мая сотрудниками Руставского ГОВД задержан разыскиваемый ими по местному розыску Г. Д.

# სამორიგეოში ტელეფონმა დარეკა...

## ანუ როდის ვერ შველის ქურდს „ბნელი ღამე“.



მტკიცება არ სჭირდება, — თუ მილიციის ოპერატიული მუშაკები სიფხიზლეს, გამბედაობას და პროფესიულ ოსტატობას გამოავლენენ, ქურდს ვერც „ოსტატობა“ უშველის და ვერც, ხალხური გამონათქვამისა არ იყოს — „ბნელი ღამე“.

სწორედ ასე მოხდა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში.

...10 მაისის გაზაფხულის თბილი ღამეც მიიწურა. საათის ისარმა თორმეტს გადააცილა. ვაკეში, რაზმაძის მუუდრო ქუჩის № 56 სახლის ერთ-ერთ სადარბაზოს ფეხაკრეფით ორი უცნობი აუყვა...

ცოტა ხნის შემდეგ, ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების სამორიგეოში ტელეფონი აწკრიალდა...

ბინის მფლობელს, გ. პაჭკორიას, ვისაც დაუპატიჟებელი სტუმრები მიადგნენ, საეჭვო ხმაური მოესმა. მიაყურადა და მიხვდა, ვიღაც კარების გატეხვას ცდილობდა. სასწრაფოდ ტელეფონს დასწვდა, ყურმილი დუმდა, დრო აღარ ითმენდა, აღელვებულმა მაინც მოისაზრა მეზობლისათვის მიეწვდინა ხმა, აივნიდან მისი გაღვიძება მოახერხა და სთხოვა ეს ამბავი მილიციისათვის შეეტყობინებინა, მეზობელმაც არ დააყოვნა...

ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ოპერრწმუნებულები, მილიციის ლეიტენანტები: მ. ცომაია და ა. ტურიაშვილი, მილიციის კაპიტანი ნ. მეტრეველი, მილიციის უფროსი ლეიტენანტები: მ. რუხაძე და უბნის რწმუნებული თ. კეთილაძე, საცხოვრებელ სახლს ალყა შემოარტყა.

— დამნაშავეები არ ელოდნენ თუ ბინის პატრონი შინ დახვდებოდათ, ალბათ წინასწარ შეიტყვეს იგი სხვა ქალაქში რომ იმყოფებოდა, თუმცა სიფრთხილისათვის ტელეფონის ხაზი გადაჭრეს — მეუბნება ოპერჯგუფის წევრი მ. ცომაია, — სადარბაზოში უხმაუროდ შევედი, კარების ტეხვის ხმა ოდნავ, მაგრამ მაინც გარკვევით შემომესმა, გასაფრთხილებლად გავისროლე და დანებება მოვთხოვე. ქურდები დაფრთხნენ და სხვენისაკენ გაიქცნენ. მათ დაკავებას საცხოვრებელი სახლის რუსული ასო „გ“-ს ფორმის არქიტექტურა აძნელებდა, დამნაშავეებს სხვენიდან შეეძლოთ რამდენიმე სადარბაზოს გასასვლელისკენ გაეკვლიათ გზა. არ დავაყოვნეთ, ყველა გასასვლელი ჩვენმა თანამშრომელმა „ჩაკეტა“. საქმის კურსში შინაგან საქმეთა სამმართველოც ჩავაყენეთ, ამასობაში მცხოვრებლებმა გაიღვიძეს. სასიამოვნო ფაქტია — ბევრმა უყოყმანოდ შემოგვთავაზა დახმარება.

— ნერვები ალბათ უკიდურესობამდე იყო დაძაბული, რადგან არ იცოდით რას მოიმოქმედებდნენ ქურდები — ვეკითხები.

— ჩვენს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ დარწმუნებულები არ ვიყავით, ჰქონდათ თუ არა ცეცხლსასროლი იარაღი ბოროტმოქმედებს. ორმხრივ შეტაკებას კი რა შეიძლება მოჰყოლოდა ძნელი წარმოსადგენია, თანაც მრავალბინიანი სახლის ეზო „კოვბოური სპექტაკლისათვის“ არცთუ შესაფერისი ადგილია — ეღიმება ოპერრწმუნებულს, — მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ისინი მხოლოდ ბინის გასატეხი ძალაყინებითა და თვითნაკეთი დანებით იყვნენ შეიარაღებულნი, ეს დანები მაინც გამოიყენეს.

— თქვენს წინააღმდეგ?

— არა, როდესაც ნერვებმა უმტყუნათ და დანებება აირჩიეს, ზემოდან ჩამოგვძახეს — გნებდებითო. ჯერ ერთი ჩამოვიდა, შევხედე, სისხლის ნაკვალევი ემჩნეოდა, დანით მუცლის არე თავისივე ხელით გადაესერა მსუბუქად. მალე მას მეორეც ჩამოჰყვა, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, დანა მუცლის ღრუში ჰქონდა ჩარჩენილი. ამჟამად ორივენი საავადმყოფოში არიან.

— დაახლოებით ასეთ შემთხვევაზე გაზეთი „იზვესტიაც“ წერდა 13 მაისის ნომერში, როდესაც დაკავებისას დამნაშავემ სამართებლის გადაყლაპვა სცადა.

— დიახ, ქურდული ტრადიციების მიმდევრებს ასეთი წესი აქვთ, აქაოდა ამით „სირცხვილს“ გადავრჩებითო.

— ვინ აღმოჩნდნენ დაკავებულები?

— თბილისელები: 1964 წელს დაბადებული რ. ძაგანია და 1962 წელს დაბადებული გ. პავლიაშვილი. ორივენი ნასამართლევი არიან. ერთი გაუპატიურებაზე, მეორე — ქურდობაზე. ამასთანავე რ. ძაგანია ჯერ კიდევ ადმინისტრაციული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

— სადმე თუ მუშაობდნენ?

— რ. ძაგანიამ განაცხადა, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამხმარე მეურნეობაში ვმუშაობო, გ. პავლიაშვილი დარაჯად იყო გაფორმებული, თუმცა ყველაფერს ამას გამოძიება გაარკვევს და მათი „მოღვაწეობის“ სხვა მხარეებსაც.

...11 მაისის დილა საბედისწერო აღმოჩნდა ორი დამნაშავისთვის. ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების ჩეკისტების მაგალითმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა — იქ, სადაც პროფესიული ოსტატობაა, ვერცერთი გარეწარი ვერ ასცდება კუთვნილს.

**ვ. ნადირაძე.**

* * *

**სურათზე:** ოპერჯგუფის წევრები ათვალიერებენ ამოღებულ ნივთმტკიცებებს.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები

# შეხვედრა მილიციის მუშაკებთან

**სადგურ** სამტრედიის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების თანამშრომლებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ რკინიგზის სამტრედიის № 14 საშუალო სკოლის აღსაზრდელებთან. ისინი დაინტერესებული არიან მათი სწავლით, ქცევით, სულიერი ცხოვრებით, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საკითხებით. სკოლაში შექმნილ „ნორჩ ძერჟინსკელთა" რაზმს შეფობას უწევს განყოფილების პარტიული და კომკავშირული აქტივი.

ამ რამოდენიმე ხნის წინ სკოლა მილიციის მუშაკებს მასპინძლობდა. განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის უფროსი ლეიტენანტი მ. შენგელია მოსწავლეებს ესაუბრა ახალგაზრდა თაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა ურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობაზე. სკოლის აღსაზრდელები გულისყურით უსმენდნენ მილიციის მაიორების: რ. ფალავას, ვ. უგულავას, ა. ჭიჭეიშვილის, მილიციის კაპიტან თ. ჩხაიძის, უფროსი ლეიტენანტების: გ. გვაზავასა და ი. კალაძის გამოსვლებს. გაიმართა საინტერესო საუბარი, რომლის დროსაც გამოიკვეთა ჩვენი ცხოვრების ისეთ სიმახინჯეებთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა, როგორიცაა ნარკომანია, ლოთობა, სპეკულაცია, პროსტიტუცია, ხულიგნობა.

ეს იყო მეტად საჭირო, საქმიანი და გულთბილი შეხვედრა.

**ლ. ნიკურაძე,**
**რკინიგზის სამტრედიის № 14 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში.**



# იხვეწება ურთიერთობა

**თანდათან** უმჯობესდება და იხვეწება ურთიერთობა და კონტაქტები შინაგან საქმეთა სამტრედიის რაიგანყოფილების პირად შემადგენლობასა და ეწერის საბავშვო სახლის აღსაზრდელებს შორის. განყოფილების მუშაკების ყველა სტუმრობა პატარების განუზომელ სიხარულს იწვევს. გარდა გულთბილი შეხვედრებისა და მიზნობრივი საუბრებისა, პატარები უაღრესად კმაყოფილი რჩებიან განყოფილებიდან გაგზავნილი საჩუქრებით, სუვენირებით. ამასთან ერთად მათთან ეწყობა კულტმასობრივი ღონისძიებები. განყოფილების მუშაკები ვალში არც საერთო ღონისძიებებს რჩებიან. გასულ თვეში ბავშვთა საკავშირო ფონდში მათი ხელფასებიდან სოლიდური თანხა გადაირიცხა.

განყოფილების პირადი შემადგენლობისა და ეწერის საბავშვო სახლის აღსაზრდელების ურთიერთობის შესახებ არაერთხელ დაწერილა თბილი სიტყვები [illegible] და რაიონულ პრესაში. გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილი „არ მოვაკლოთ გულის სითბო ბავშვებს", ასე იწყება: „დღეისათვის სამტრედიის რაიონის ეწერის საბავშვო სახლში 78 აღსაზრდელია. თვალწინ მიდგას პატარა დათო ბაქრაძე, მილიციელის ტანსაცმელით, ქუდით. კითხვაზე ვინ უნდა გამოხვიდე-მეთქი, მილიციის უფროსიო რომ მიპასუხა, მახსოვს მისი გამოხედვა — ბავშვური და ამავე დროს თითქოს დაბრძენებული".

განყოფილების ხელმძღვანელობის ინიციატივით გამარჯვების დღეს, 9 მაისს, კიდევ ერთი ღონისძიება მოეწყო. საბავშვო სახლის ყველა აღსაზრდელი დაესწრო სამტრედიაში საგასტროლოდ მყოფი ჩეხოსლოვაკიის ცირკის ფართო პროგრამას, ამან ბავშვების დიდი სიხარული გამოიწვია.

**რ. ღირდალაძე,**
**სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის კაპიტანი.**



# დამნაშავეობა: შემზარავი პრობლემა

**დამნაშავეობა** კვლავ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური პრობლემაა. ამჟამად ქვეყანაში შეიქმნა ვითარება, როცა პრაქტიკულად ყოველი ამერიკელი, ასაკის, სქესის ან კანის ფერის მიუხედავად, ნებისმიერ წუთს შეიძლება ძალადობის მსხვერპლი გახდეს. დამნაშავეობა დაძაბულობას ქმნის შეერთებული შტატების ყველა რეგიონში, მსხვილი ქალაქებით დაწყებული და პატარა დაბებით დამთავრებული. ამერიკის პრესის ზოგიერთი მონაცემებით, ქვეყნის მცხოვრებთა პირად სარგებლობაში სადღეისოდ 200 მილიონი ცალი ცეცხლსასროლი იარაღია. კაცმა არ იცის, ოღონდ, რისთვის იქნება იგი გამოყენებული — მოსაკლავად, გასაძარცვად თუ თავდაცვისთვის, ცალკეული პირების თუ მთელი განგსტერული ბანდების მიერ. უნდა დავსძინოთ, რომ შეიარაღებული ტერორისა და ძალმომრეობის ზრდას ხელს უწყობს ხელისუფალთა მხრივ უკონტროლო იარაღის გავრცელება, იარაღის მწარმოებელი მაგნატების სიხარბე, ტელე და კინორეკლამა.

* * *

**სურათზე:** ძნელია იმის თქმა, თუ რა საბოლოო მიზანს ისახავენ ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებნი, ოპტიკურსამიზნიან რევოლვერს რომ ირჩევენ საყიდლად.

**საკდესის** ფოტო.

სპორტი ❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀ СПОРТ

## На аренах Спартакиады

**Согласно плану мероприятий Райсовета № 1 «Динамо», в состав которого входят 19 коллективов, на базах «Динамо» началась Спартакиада, которая будет проводиться по стрельбе из боевого оружия, футболу, легкой атлетике, волейболу, настольному теннису, гиревому спорту и шахматам.**

**Спартакиада проводится в течение года, окончательные её результаты в командной борьбе среди коллективов будут известны в декабре 1988 г.**

**После первого вида соревнований (стрельба) на первое место вышла команда подразделения УИТУ МВД ГССР, в которой отличились: А. Аваков, Л. Ростомов, Р. Арешидзе, В. Киркитадзе, С. Иванов, (Команду подготовил В. Маргишвили). Второе и третье места поделили соответственно Учебный центр и УПО министерства.**

**Следующий вид соревнований — мини-футбол.**

**Ф. ПОРТНОВ,**
**инспектор - методист отдела физподготовки и спорта органов внутренних дел Грузсовета «Динамо», старший лейтенант внутренней службы.**

## ПОБЕЖДАЮТ СИЛЬНЕЙШИЕ

На днях в поселке Агудзера подведены итоги чемпионата Абхазского совета «Динамо» по пожарно-прикладному спорту, в котором приняли участие сильнейшие спортсмены Абхазской АССР.

Интересная борьба разыгралась в упражнении по подъему по штурмовой лестнице в окно четвертого этажа учебной башни. В этом виде соревнований первенствовал Г. Чхеидзе, кандидат в мастера спорта СССР из Агудзера. А. Манджавидзе и Б. Квеквескири отстали на 1 и 2 очка и заняли соответственно второе и третье места (оба перворазрядники из Гульрипши).

В преодолении 100-метровой полосы препятствий первенствовал также Г. Чхеидзе. на втором месте Б. Квеквескири, который в упорной борьбе обошел опытного мастера спорта СССР М. Нерсесяна, занявшего третье место.

Большой интерес вызвало у многочисленных зрителей состязание по подъему по выдвижной лестнице в окно 3-го этажа учебной башни. Здесь напряженная борьба шла между перворазрядниками, кандидатами в мастера спорта и мастерами спорта СССР. Первое место в этом упражнении завоевали в паре А. Пилиев (КМС) и М. Ичмелян (мастер спорта СССР) — представители ОПО-15. На второе место вышли представители Гульрипши — С. Нерсесян (КМС) и перворазрядник А. Алексанян. На третьем — А. Нерсесян (перворазрядник) и М. Нерсесян (мастер спорта СССР) — оба из Сухуми.

В командном зачете первое место завоевали спортсмены ОПО-15 Агудзера, второе — молодые спортсмены Гульрипши, а третье призовое место заняли спортсмены г. Сухуми.

**У. АНУАШВИЛИ,**
**В. КОБАЛИЯ.**

**НА СНИМКЕ:** эпизод соревнований по подъему в окно 3-го этажа учебной башни.



# ШАХМАТНЫЙ КЛУБ «ЛАДЬЯ»

ВЫПУСК № 8

5 мая 1988 г. советский народ, все прогрессивное человечество отметили 170-летие со дня рождения основоположника научного коммунизма Карла Маркса.

Карл Маркс был не только гениальным мыслителем и ученым. Всю свою жизнь он отдал тому, чтобы созданная им наука стала средством освобождения рабочего класса. Из соединения революционной мысли и революционной практики родились те великие политические идеи марксизма, которые стали решающей силой в современном обществе.

Занятый титанической работой, Карл Маркс находил время и для шахмат.

Карл Маркс не только любил шахматы, но и хорошо играл. Вильгельм Либкнехт, который вместе с Августом Бебелем основал социал-демократическую партию Германии и был одним из ближайших сподвижников Маркса и Энгельса, пишет в своих воспоминаниях о Карле Марксе.

«В начале пятидесятых годов в нашей компании изгнанников играли в шахматы очень многие.

Временами происходили очень бурные состязания. Кто проигрывал — делался центром остроумных насмешек; уже во время игры обыкновенно было очень весело, а часто очень шумно. Когда Маркс попадал в затруднительное положение, он сердился, а проиграв партию, приходил в ярость...

Однажды Маркс с триумфом возвестил, что открыл новый ход, которым он всех нас побьет. Вызов был принят. Действительно, он побил по очереди всех нас, но постепенно на поражениях мы выучились победе, и вот мне удалось дать Марксу мат. Было уже очень поздно, и он, злой, потребовал реванша на следующее утро в своей квартире.

Ровно в 11 — для Лондона это очень рано — я был на месте. Маркса еще не было в комнате, но скоро он появился... протянул мне руку и сейчас же притащил шахматы.

Началась битва. Маркс за ночь обдумал некоторые поправки к своему ходу и понадобилось немного времени, чтобы я очутился в совершенно безвыходном положении. Я проиграл. Маркс торжествовал, он сразу пришел в хорошее настроение...».

До сих пор мы еще мало знаем о шахматных увлечениях К. Маркса, о том, где и когда он научился этой игре, о подробностях его встреч за шахматной доской с друзьями в Германии, Франции, Англии, о шахматных мотивах в его произведениях и т. д. Известно, например, упоминание о шахматах в письме Карла Маркса дочери Лауре и ее мужу Полю Лафаргу в Париж от 11 апреля 1868 года.

«...У нас вчера вечером в гостях были Лормье. Я сыграл с Луи две партии в шахматы и дал ему выиграть одну из них. Как ты думаешь, что сказал мне на прощанье самым торжественным тоном сей несуразный юнец Калибан: — «Я надеюсь, Вы на меня не в обиде?». (К. Маркс и Ф. Энгельс, Собр. соч., т. 32, стр. 454 — 455).

Вот то немногое, что сегодня уже достоверно известно о шахматных увлечениях Карла Маркса. Эти факты с несомненностью свидетельствуют о его любви к древнейшей и мудрой игре.

**Подготовил М. Миминошвили.**

## Ответы на кроссворд,

**НАПЕЧАТАННЫЙ В № 19/20.**

**ПО ГОРИЗОНТАЛИ:** 6. Истребитель. 9. Трудяга. 10. Стратег. 14. Жуков. 15. Адъюнкт. 17. Конев. 18. Ока. 19. Аул. 20. Галоп. 21. Бот. 22. Склад. 27. «Бег». 28. Трак. 29. Икар. 30. Тир. 33. Устав. 35. Яма. 38. Белов. 39. Док. 41. Еры. 42. Финал. 43. Патруль. 44. Уткин. 47. Магнето. 48. Исполин. 50. Наступление.

**ПО ВЕРТИКАЛИ:** 1. Осада. 2. Бригада. 3. «Обь». 4. Статика. 5. Алтай. 7. Креозот. 8. Героика. 11. Тухачевский. 12. Бюро. 13. Серафимович. 15. Акт. 16. Тур. 23. Бра. 24. Икс. 25. Мир. 26. Бас. 31. Барабан. 32. Вестник. 34. Чоп. 36. Марш. 37. Ерь. 40. Кантата. 41. Елисеев. 45. Ангар. 46. Лоция. 49. Ипр.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. №23, ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.

უე 00241